



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები

*დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით*

## 1. ძირითადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტის ამოცანაა, განსაზღვროს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) მოქმედი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, მისი ძირითადი მიმართულებები და მექანიზმები.
- 1.2. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და მექანიზმების არსებობის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში სწავლის, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის, ასევე, სტუდენტური სერვისების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
- 1.3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები გამოიყენება უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების, აგრეთვე სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ნებისმიერი სახის ერთობლივი პროგრამების განხორციელებისას.
- 1.4. წინამდებარე დოკუმენტით დასახული მიზნების მიღწევა და აქტივობების განხორციელება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) მნიშვნელოვანი ნაწილია.
- 1.5. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობის, გამჭვირვალობის პრინციპებს. ასევე პოლიტიკა ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და სოციალურ პასუხისმგებლობას.

## 2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნები

- 2.1. უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური და მჭიდრო ურთიერთობების დამყარება-შენარჩუნება.
- 2.2. უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიური მოქმედებები უზრუნველყოფს ქართული და უცხოელი სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ღია აკადემიური გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათი პიროვნული პოტენციალის სრულად რეალიზებას, საერთაშორისო საგანმანათლებლო, კვლევით პროცესებში ინტეგრირებასა და უცხოელი კოლეგების/მკვლევარების გამოცდილების გაზიარებას.

## 3. პასუხისმგებელი პირები

- 3.1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული მათი კომპეტენციის ფარგლებში.
- 3.2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან, კოორდინირებულად ითანამშრომლონ ერთმანეთთან, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის.
- 3.3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობის მიზნით

შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობის, სტრატეგიული განვითარებისა და ადამიანური რესურსების სამსახური (შემდგომში - „სამსახური“).

**3.4. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სამსახურის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:**

**3.4.1.** უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნვა.

**3.4.2.** უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისთვის და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების მიზნით წინადადებების შემუშავება და უნივერსიტეტის მმართველობითი ორგანოებისთვის წარდგენა.

**3.4.3.** საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება.

**3.4.4.** უნივერსიტეტის და მისი წარმომადგენლების მონაწილეობის ორგანიზება საერთაშორისო ხასიათის შეხვედრებში, ვიზიტებში და სხვა.

**3.4.5.** უნივერსიტეტთან ურთიერთობის ფარგლებში მოწვეული უცხოელი სტუმრების მიღება და მასპინძლობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება.

**3.4.6.** უნივერსიტეტში დასაქმებული უცხოელი პერსონალის გარემოსთან ადაპტაციაში ხელშეწყობა.

**3.4.7.** უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა და საგრანტო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, კონსულტირება და მხარდაჭერა.

**3.4.8.** უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე ზრუნვა;

**3.4.9.** კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

**4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართულებები**

**4.1.** ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით დასახული მიზნების მისაღწევად გამოყოფილია ძირითადი მიმართულებები, რომელთა განვითარებაზეც ზრუნვა უნივერსიტეტის პრიორიტეტია. ესენია:

**4.1.1.** უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდა;

**4.1.2.** უნივერსიტეტის ინსტიტუციური და აკადემიური განვითარება;

**4.1.3.** საერთაშორისო სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა და ინტეგრაცია;

**4.1.4.** სტუდენტების, აკადემიური მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობა;

**4.1.5.** საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

**5. უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდა.**

**5.1.** უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდის თვალსაზრისით, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გულისხმობს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

**5.1.1.** მსოფლიო სამედიცინო სკოლების დირექტორიაში უნივერსიტეტის სახელის განთავსება და შემდგომ მის რეიტინგზე ზრუნვა-ხელშეწყობა;

- 5.1.2. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში გაწევრიანება და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობა;
- 5.1.3. საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა უნივერსიტეტებთან საგანმანათლებლო/კვლევითი/კლინიკური თანამშრომლობის შესახებ;
- 5.1.4. საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობა;
- 5.1.5. უცხოეთში საქართველოს წარმომადგენლობებისთვის, უნივერსიტეტებისა და ჯანდაცვის სფეროს ინსტიტუციებისათვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით;

## 6. უნივერსიტეტის ინსტიტუციური და აკადემიური განვითარება

- 6.1. უნივერსიტეტის ინსტიტუციური და აკადემიური განვითარების თვალსაზრისით, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გულისხმობს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:
  - 6.1.1. უნივერსიტეტში მართვის გამჭვირვალე და ეფექტური სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
  - 6.1.2. საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების ერთობლივი განხორციელების შესაძლებლობების მოძიება;
  - 6.1.3. საერთაშორისო ფონდების მოძიება;
  - 6.1.4. კურიკულუმის მუდმივი განვითარება - კომპეტენტური და ინოვაციური სწავლებისა და შეფასების მეთოდების დანერგვა, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით;
  - 6.1.5. საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
  - 6.1.6. უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა როგორც ცალკეული კურსების განსახორციელებლად, ასევე არსებული კურსების განვითარების მიზნით.

## 7. უნივერსიტეტში საერთაშორისო სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული კონტინენტის მოზიდვა და ინტეგრაცია

- 7.1. უნივერსიტეტში საერთაშორისო სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული კონტინენტის მოზიდვისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გულისხმობს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:
  - 7.1.1. უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდაზე ზრუნვა სხვადასხვა გზით, მათ შორის, საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობით, ინფორმაციის ელექტრონული გავრცელებით, ტელეკომუნიკაციებისა და მედიის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, საქართველოს წარმომადგენლობებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში ინფორმაციის მიწოდებით და სხვ.

- 7.1.2. ქვეყანაში არსებული რესურსის გამოყენება - მაგ. საერთაშორისო სტუდენტთა ხელშეწყობა და მათი ჩართულობის მხარდაჭერა ქვეყანაში მოქმედ სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროგრამებში;
  - 7.1.3. საერთაშორისო სტუდენტების წახალისება „უნივერსიტეტის დესპანის“ სტატუსის მოსაპოვებლად უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების მიზნით, დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში.
  - 7.1.4. საერთაშორისო სტუდენტთა მობილობის მხარდაჭერა;
  - 7.1.5. თანამშრომლობა საერთაშორისო მომზიდვ (აგენტ) კომპანიებთან;
  - 7.1.6. სერვისების განვითარება ინდივიდუალური აპლიკანტებისთვის.
  - 7.1.7. სტუდენტური სერვისებისა და პროგრამების განვითარება - საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებებზე მაქსიმალური მორგება;
  - 7.1.8. ქართული ენის სწავლებისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება ონლაინ პლატფორმის სახით;
  - 7.1.9. საერთაშორისო სამთავრობო, არასამთავრობო და პროფესიულ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება;
  - 7.1.10. სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება და უზრუნველყოფა;
  - 7.1.11. სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის სასწავლო და სოციალური გარემოს შეთავაზება;
  - 7.1.12. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა და მათთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნება.
- 8. უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობა**
- 8.1. სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობის თვალსაზრისით, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გულისხმობს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:**
- 8.1.1. საქართველოში მოქმედ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მაქსიმალური ჩართულობა (მაგ. Erasmus+ მარია კიური (Marie Curie), ჟან მონე (Jan Monnet), Horizon 2020 და სხვ).
  - 8.1.2. ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან საგანმანათლებლო/კვლევითი/კლინიკური თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესახებ.
  - 8.1.3. ზემოაღნიშნული პროგრამების თაობაზე სრული ინფორმირება და შესაბამის ინფორმაციებზე გარანტირებული ხელმისაწვდომობა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით.
  - 8.1.4. საერთაშორისო გამოცდილების მქონე აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა;

**8.1.5.** უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა შესაბამისი სერვისების განვითარებით.

